საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1534 2017 წლის 24 ივლისი ქ. თბილისი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს, 2017 წელს დაგეგმილი დიდგორის ბრძოლის 896-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საკონცერტო ღონისძიების ჩასატარებლად საჭირო მომსახურების შესყიდვა, 60 000 (სამოცი ათასი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი